

## თბილისის რეგიონალური ფესტივალი-2010

20-23 აპრილი, 2010

[www.florence-expo.com/Tbilisi festival 2010](http://www.florence-expo.com/Tbilisi festival 2010)

“ზარისხი და პროფესია”-ვირტუალური ექსპო, პოსტერებისა “სხარტი”

პრეზენტაციები, საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფები;

საერთაშორისო კონფერენცია “ცხოვრება ტურიზმის გზით-ქვეყნები, ისტორია,  
კულტურული ტურიზმი”

პროექტის ორგანიზატორი-თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის მედია ხელოვნების ფაკულტეტი ([www.art.edu.ge/](http://www.art.edu.ge/) მიმდინარე პროექტები/თსსა-ს პროექტები ფლორენციის რომულდო დელ ბიანკოს ფონდთან, თანაორგანიზატორი- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროექტის ლიდერი-ნანა იაშვილი, პროფესორი მედია ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი

### ვორქშოპი

“კულტურული იდენტიფიკაცია - ხედვის მრავალსახეობა”.

(18, 19 აპრილი- კონსულტაციები, 20-22 აპრილი, სამუშაო პროცესი, 23 აპრილი- პრეზენტაცია)

რეგიონალური ფესტივალზე ”თბილისი-2010”, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორის ანი კლდიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდება საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფი- ინტერდისციპლინარული პროექტი სახელწოდებით “კულტურული იდენტიფიკაცია - ხედვის მრავალსახეობა”.

ვორქშოპის მიზანია სახვადასხვა სახის შემოქმედებითი აქტივობის გზით კონკრეტული შემოქმედებითი “პროდუქტის” (პერფორმანსი, ჰეფენინგი, კლიპი და სხვ.) შექმნა, რომელშიც მხატვრული ფორმით წარმოჩენილი იქნება ქვეყნის კულტურის უნიკალურობა, თვითმყოფადობა და განუმეორებლობა, კულტურის ის განსაკუთრებულობა, რომლითაც ეს ქვეყანა, შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი იყოს კულტურული ტურიზმის თვალსაზრისით.

**ვორქშოპი**  
**“კრეატიული შიბორი”**

რეგიონალური ფესტივალზე” თბილისი-2010”, დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის ქეთი ქავთარაძის ხელმძღვანელობით ჩატარდება საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფი - “კრეატიული შიბორი”.

ვორქშოფის მიზანი: ტექსტილის ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ტექნოლოგიური მეთოდის - “კრეატიული შიბორის” საწყისი ეტაპის შესწავლა. ვორქშოფის ხანგრძლივობა: 2 დღე (4-4 საათი).

ვორქშოფი ჩატარდება ტექსტილის სახელოსნოში: “la maison bleue”. მისამართი: ქ. თბილისი ბარნოვის ქ. #94.

ვორქშოფის განმავლობაში მონაწილეების მიერ შესრულებული ნამუშევრები გამოიფინება გობელენის მუზეუმში. მისამართი შარდენის ქ.#19

ვორქშოფისათვის საჭირო მასალები და ტექნიკური აღჭურვილობა შედის ვორქშოფის საფასურში.

**ვორქშოპი**  
**“ლოკალური დიზაინი და გლობალური დიზაინი”**

პროფესორი ფრანკ იოახიმ გროსმანი, CKM,გერმანია

თემის აღწერა: დიზაინის კონტრასტი ლოკალურ არეებში და დიზაინის კონცეპციების გლობალური სტარატეგია. სტუდენტები განავითარებენ ამ იდეებს წიგნებში, პოსტერების სერიებში ან ვებ-გვერდებზე.

**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვორქშოფი**  
**“ქართული ფოლკლორული სიმღერა”**

ვორქშოფის ხელმძღვანელი: ნატო ზუმბაძე, ასოცირებული პროფესორი, ქართული ფოლკლორული მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი

ვორქშოფის აღწერა: სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებს შორის ინტერესი და აღფრთოვანება ქართული ფოლკლორული მუსიკის მიმართ დღითიდღე იზრდება, რაც გამოწვეულია მისი ორიგინალურიებით, მრავალფეროვნებით, და უმაღლესი პოლიფონიურობით. 2001 წელს UNESCO-მ ქართული ფოლკლორული სიმღერა აღიარა როგორც შედეგრი კაცობრიობის ზეპირი და სულიერი მემკვიდრეობისა.

ვორქშოფის მიზანია მისცეს სტუდენტებს, მსენელს, მუსიკოსს თუ არა- მუსიკოსს პრაქტიკული ინფორმაცია ქართული ფოლკლორული სიმღერის შესახებ, გააცნოს მათ მისი პერფორმანსის თავისებურებები და ტრადიციები. მონაწილენი პრაქტიკულად შეეხებიან მუსიკალურ მასალას, რაც მათთვის თვით საქართველოს აქცევს უფრო მიმზიდველად, ისინი შეიგრძნობენ ქართული მუსიკალური კულტურის უნიკალურობას და იდენტურობას.

### ვორქშოფი-კლაუზურა

20 – 23 აპრილი, 2010, 10 საათი, ორი დღე (5 საათი + 5 საათი)

კლაუზურა სრულდება ფორმატზე ზომით 0,80 X 0,60; შესრულების ტექნიკა თავისუფალი (ტუში, აქვარელი და ა.შ.).

კლაუზურის თემები:

- თანამედროვე არქიტექტურა ქალაქის ისტორიულ განაშენიანებაში;
- პირველი დასახლება მთვარეზე (სივრცე, რომელშიც ადამიანს შეუძლია იარსებოს-იმოქმედოს სკაფანდრის გარეშე).
- ღონისძიება ტარდება საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე (თსსა მაღლივი კორპუსის VIII – IX სართულებზე) 2010 წლის 21 და 22 აპრილს.
- კლაუზურა - კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ არქიტექტურული სკოლების სტუდენტებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და კურსდამთავრებულებს.
- კლაუზურას უხელმძღვანელებს თსსა სრული პროფესორი არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ბათიაშვილი.
- კონკურსის ჟიური - თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი ნოდარ ამაშუკელი, თსსა სრული პროფესორი არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ბათიაშვილი, თსსა ემერიტუსი აკადემიკოსი მერაბ ჩხენკელი, თსსა ასოცირებული პროფესორი ნანა ქუთათელაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი, რომელიც შეაფასებს საკონკურსო კლაუზურებს.
- გამარჯვებულები დასახელდებიან 2010 წლის 22 აპრილს და დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით: I ადგილი - 300 ლარი, II ადგილი - 150 ლარი, III ადგილი - 100 ლარი;

- კონკურსში მონაწილეობის მსურველების რეგისტრაცია იწარმოებს 2010 წლის 19 აპრილის ჩათვლით სამუშაო დღეებში 11:00-დან 16:00 საათამდე თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანატში.

**ვორქშოფების საკონტაქტო პირი:**

ნინი ბუღაძე [N\\_bugadze@yahoo.com](mailto:N_bugadze@yahoo.com), 877 750 024